ქეთევან მისაბიშვილი

ჰიმნი ფეოდალიზმის ეპოქის

„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი
1965

ესპანურიდან თარგმნა
ღია ჭავჭავაძემ

გაბრიელა მისტრალი

გაბრიელა მისტრალი (ლუსილა გოდოი ალკაიაგა) დაიბადა 1889 წელს ჩილის პატარა სოფელ მონტე-გრანდეში. მისი მშობლები უბრალო ადამიანები იყვნენ. გაბრიელამ ბეკუნიის საშუალო სკოლა დაამთავრა. მშობლები მალე მიიცვალნენ და მათ ერთადერთ შვილს ლუკმა საძიებელი შეექმნა. მან მასწავლებლობას მიჰყო ხელი.

1914 წელს სანტ-იაგო დე ჩილის ლიტერატურულ კონკურსზე არნახული რამ მოხდა: ლაურეატობა მიიღო ლუსილა გოდოი ალკაიაგამ — პროვინციელმა მასწავლებელმა. პრემია მიენიჭა თავისუფალი სტილით დაწერილ სამ სონეტს, რომლებშიც პოეტი სიცოცხლის სიხარულს როდი უმღერდა — საშინელმა მწუხარებამ შობა ისინი.

„სიკვდილის სონეტებმა" დიდება მოუტანა უბრალო მასწავლებელს. 30-იანი წლებიდან მისტრალი ჩილის კონსულია ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

1945 წელს გაბრიელა მისტრალს — ლათინურ ამერიკაში პირველს ქალთა შორის — მიენიჭა ნობელის პრემია.

სიკვდილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში უწია 1957 წელს. „როცა იგი ნიუ-იორკში გარდაიცვალა, ჩილელ ხალხს დიდი მწუხარება დაატყდა თავს, თითქოს კორდილიერებს უზარმაზარი კლდე მოსწყდა და 7000 მეტრის სიმაღლიდან პირდაპირ ჩილელ ხალხს დაეცა გულზე", — წერდა პაბლო ნერუდა თავისი ყოფილი მასწავლებლისა და მეგობრის სიკვდილის გამო. ასე მხურვალედ უყვარდა სამშობლოს თავისი დიდი პოეტი.

გაბრიელა მისტრალის ხსოვნის პატივსაცემად 1958 წელს ქ. სანტ-იაგოს მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა მისტრალის სახელობის ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსის დაწესება.

პოეტის მთავარი ნაწარმოებებია ლექსთა კრებულები: „ხმა ელვიდან“ (1908), „სიკვდილის სონეტები“ (1914). „სინაზე“ (1914), „სასოწარკვეთილება“, „ეკლიანი ხე“ (1938), „პოემა თეთრ ღრუბლებზე“ (1930). „საწნახელი“ (1957).

ჩილის ლიტერატურა, რომლის ნიჭიერი წარმომადგენლებიც იყვნენ: მატტა, ბლესტ განა, ლილო, სანფუენტესი, და თანამედროვენი — ნერუდა, რიკარდო ლატჩამი, მატილდა ლადრონ დე გევარა, ნიკანორ პარა და სხვები XX საუკუნის დამდეგს იმ პერიოდს განიცდიდა, როცა, ერნან დე სოლიარის სიტყვით რომ ვთქვათ, „იმპორტული სიმბოლიზმი აიძულებდა პოეტებს ებორიალნათ შემოდგომასავით ნისლიან, ლანდურ სახეთა შორის“[1]

და უცებ ამ პოეზიაში შემოიჭრა უბრალო ქალის წრფელი, წმიდა და ნათელი ხმა. მის ლექსებში გაცოცხლდა მიწა, ცა და ადამიანი თავისი ცვალებადი ბედით.

მის სტრიქონებში ისმის სიმინდის შრიალი:

ქარში მღერის მაისი[2],
იმედისგან მწვანე.
(„სიმღერა მაისის ყანაზე“)

ამ დიდი იმედითაა სავსე „ჰიმნი ტროპიკების მზეს“. ესაა ძლიერი, სინათლით სავსე პოემა, ეს თვით სიცოცხლეა, სიხარული. უკვდავი შუქით გაცისკროვნებული პოეტი მზეს მიმართავს და ამერიკის ხალხთა ემბლემას უწოდებს მას.

მის რონდებში ბუნებისა და ადამიანის ერთობაა ამღერებული. წარმტაც ჰიმნს უძღვნის პოეტი სამშობლოსავით კეთილსა და უკვდავ სეიბას. ათეულ ადამიანთა ბედი — როგორც ჩრდილი და სინათლე — ერთიან ფერხულში ტრიალებს ამ უზარმაზარი ხის გარშემო:

---

[1] ერნან დე სოლიარი—აწმყო და მომავალი ჩილის პოეზიისა. ჟურნალი „ინტერნაციონალური ლიტერატურა“, 9-10, მოსკოვი, 1938.

[2] სიმინდის ესპანური სახელია.

— სეიბა ზევით, სეიბა ზევით!
(„ხორუმი ეკვადორის სეიბას ირგელივ“)

აი, რას მღერის ფერხული...

მისტრალის რონდებს მთელ ლათინურ ამერიკაში მღერიან ისევე, როგორც მღეროდნენ მათ ჯერ კიდევ 1920 წელს მეხიკოს ცნობილ ჩაპულტეპეკის პარკში.

ადამიანური საწყისის უმაღლეს გამოვლენად მას დედობა მიაჩნდა, უმაღლეს ნიჭად — ნიჭი აღმზრდელისა. რამდენ დედას განუმეორებია იავნანა პოეტისა, რომელსაც თვითონ არ ეღირსა დედობის ბედნიერება:

ჩემი სხეულის ნამცეცო,
გფარავდა სიღრმე უძირო,
ჩემო მცივანა ბუმბულო,
ჩამეხუტე და იძინე.
(„ჩამეხუტე გულში“)

გაბრიელა მისტრალს მსოფლიოს ყველა ბავშვის დედას ეძახდნენ. თავის „მასწავლებლის ლოცვაში“ იგი ამბობს:

„მომეცი ძალა, ვიქნე დედა უფრო მეტად, ვიდრე თვით დედები არიან, რათა მიყვარდეს ღა დავიცვა იგი, რაიც არაა ხორცი ჩემი ხორცთაგანი“.

მისტრალის პოეზია რთული და მრავალმხრივია. მისი ფაქიზი, თითქმის ღვთისმოსავი სათნოება, ბოროტებასთან შეურიგებელი, აჯანყებული სული და წარმართის სისხლსავსე ფიქრები გვიტაცებენ და გვაოცებენ.

თუმც ღმერთის ცნებაში იგი უმალ სიკეთეს გულისხმობდა, ვიდრე რაიმე განყენებულ, არაჯმქვეყნიურ არსებას. თვით უფლისადმი მიმართვაში გაბრიელა აცხადებს: „მომეცი ძალა ზიზღისა, რათა მძულდეს ყოველი ბიწიერი ხელისუფლება, ყოველი ძალდატანება“ („მასწავლებლის ლოცვა“).

ლათინურ ამერიკაში მას წმიდა გაბრიელა მისტრალს უწოდებენ. ცნობილი ეკვადორელი მწერალი და კრიტიკოსი, მისტრალის მეგობარი და

მისი პოეზიის მკვლევარი ბენიამინ კარიონი წერს: „გაბრიელას სიწმიდე — ეს მოქმედი სიწმიდეა, სიწმიდე აუცილებელი, რომლისკენაც მიილტვის მსოფლიოს ყველა მერიდიანის ადამიანთა გულისძგერა. ეს ის სიწმიდეა, რომელიც გვირჩევს და მიგვიძღვის, როგორც ტაში და ბიძგი; სიწმიდე, რომელიც გვასწავლის და გზას გვიჩვენებს, და ის სიწმიდეც, რომელსაც სძულს და რომელიც განსჯის.

ყველა ეს სიწმიდე მთლიანად გაერთიანებულია დედობაში, რომლისგანაც გამოვლინდა გაბრიელას ცხოვრების პროფესია — აღმზრდელის სიწმიდე"[1].

გაბრიელა მისტრალი ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერების ერთგული დამცველი იყო.

„მოუწოდეთ მშვიდობისათვის, ყველა ქარისა და ქარიშხლის მიუხედავად!" — წერდა იგი 1950 წელს თავის შესანიშნავ სტატიაში „შეჩვენებული სიტყვა".

დიდი პოეტი ქალის ნაწარმოებები მრავალ ენაზეა თარგმნილი.

ქართულ ენაზე ორიოდ საგაზეთო შენიშვნისა და რამდენიმე პროზაული მინიატურის გარდა დღემდის არაფერი გვქონია. ეს ნაშრომი პირველი ცდაა მისტრალის პოეზიის თარგმნისა მისი მშობლიური ენიდან ქართულ ენაზე, ხოლო როგორი გამოდგა ამ ცდის შედეგი, დაე, მკითხველმა განსაჯოს.

ლია ჭავჭავაძე

---

[1] Benjamin Carrion—Santa Gabriela Mistral (Ensayos); Editorial Casa de la cultura Ecuatoriana, Quito 1956; pag 41.



ფერხული ეკვადორის სეიბას ირგვლივ

დედამიწაზე არის სინათლე,
და სინათლეში არის სეიბა,
და მწვანე ხეში არის სინედლე,
და იმ სიმწვანეს დღეს ამერიკა
ავგაროზივით გულზე შეიბამს.
ზევით სეიბა! ზევით სეიბა!

ტოტები ლურჯი ცისკენ მიდიან,
და თითქოს ხეა მარადიული,
ის არ დაურგავს არც ერთ ინდიელს,
და არცა რწყავდა წყალი ღვთიური,
თითქოს მოვიდა დაუბადებლად.
და ოცი გველის მაღალ სახურავს
ცისკენ იწვდის მთვარის საძებნად,
და შავ ღამეში ფოთლების შუქით
რაღაცას წერს და მიწას ახურავს,
ზევით სეიბა! ზევით სეიბა!

მას ვერ მისწვდება ფარა და რეძა,
ცულიც კანკალებს და ეშინია,
ისარი რჩება ტოტების ქვემოთ.
ცეცხლის ენებიც ჩუმად წივიან,
წყრომით ევსებათ ტოტებს თვალები,
თითქოს ქარიშხალს დაუხვდნენ რისხვით,
და ამღერდება აღფრთოვანებით,
თუმცა არ ესმის სიმღერა თვისი,
ზევით სეიბა! ზევით სეიბა!

სექტემბრის თვეში, ხშირ ფოთოლნარზე,
ეცემა ვერცხლი და ჩრდილისფერი,
სეიბას კანზე, როგორც სინაზე,
მოწვეთავს რძე და მიწაზე მღერის,

ბერი ხის ირგვლივ ცეკვავენ მაშიხ
ქალიშვილები ალუბლისფერი,
მიცვალებული დედებიც ცაში
დაირხევიან დაღლილი მზერით.
ზევით სეიბა! სეიბა ზევით!

გავუწვდი ხელებს მიწაზე ყოველს —
დედას, მეუღლეს, პატარძალს ლამაზს
და მთვარის შუქზე ისინი მოვლენ,
და ხესთან ერთად დავიწყებთ თამაშს;

დედამიწაზე არის სინათლე
და სინათლეში არის სეიბა,
და მწვანე ხეში არის სინედლე,
და იმ სიმწვანეს დღეს ამერიკა
ავგაროზივით გულზე შეიბამს,
სეიბა ზევით! ზევით სეიბა!

წ ა მ ე ბ ა

ოცი წელია, ბასრი ხანჯლით გული გამიპეს,
და ღამე, დაღლილს,
უზარმაზარი ლექსი გულში ფრთხილად ჩამიდეს,
ვით მეცხრე ტალღა.

მივნებდი, მაგრამ მისმა შუქმა და სიდიადემ
წამართვა ძილი,
რაღა თქვან ბაგეთ, მოტყუება ადრე რომ ანდვეს,
სიმღერის წილად?

სიტყვანი კაცთა, უძლური და მოკვდავი მათებრ,
ნიბნელეს ერთვის,
ის კი — თავისი ნაპერწკლებით ჩირაღდნებს ანთებს,
ვით მიწის ღმერთი.

მან გამომწოვა მთელი სისხლი, ცრემლი მადინა
უცნაურ ძალით,
ქვეყნად არც ერთ ბავშვს არ წაუღია სისხლი ამდენი
არც ერთი ქალის.

ეს სახსოვარი საშინელი! ჩუმი წამებით,
ღამე მაშინებს...
ლექსო, დამინდე, მომეც ნება, მივჩუმდე წამით,
და დამაძინე!

წ ყ ა ლ ი

მე მახსენდება ქვეყნები ძველი,
როგორც ბავშვობის ლამაზი წლები,
მწვანე მდელოზე ბალახი სველი,
მდინარეები, მთები და ზღვები.

და წყნარ რონაზე სოფელი ჩემი,
ყველგან მდინარე და ციკადები,
და ანტილიის კუნძულის ჩერო,
და ზღვის ნაპირთან მდგარი პალმები.

იქ, ლიგურიის კლდე საოცარი
და ზღვის მოლურჯო ბავშვური მზერა,
თუ ვარ, შენით ვარ ისევ ცოცხალი,
ო, იტალიავ, შენ, ჩემო ლხენავ!

და გადაშაგდეს მე უცხო მხარეს,
სადაც წითელი ებრძვის თეთრ ფერებს,
სადაც წყურვილი ცას აზანზარებს...
და უცხო ხალხი შემომხვდა მერე.

სხვა იყო მათი ხნე და წოდება
და ჰკლავდნენ ძმები ერთმანეთის დიდხანს.
იყო სხვა რწმენა და შეცოდება, —
მათზე ფარულად მომითხრობს თიხა;
ის გვალვისაგან იშვა უეცრად.
არ იყო არსად ნამი უმანკო
და მას ტუჩები მზისგან დაეწვა
მიწაზე, სადაც იზრდება მანგო.
ვუსმენ — არსაით არც ერთი ბგერა,
წავალ და არსად მზერა არც ერთი,
არც ჩიორების ტკბილი სიმღერა,
ო, უცხოეთი არის ასეთი.

მინდა დავბრუნდე, სადაც მელოდნენ,
სად ფაქიზ ალერსს ველები აბნევს,
იქ დავბერდები მწვანე მდელოზე
და მოვუყვები მდინარეს ზღაპრებს.

დედაჩემივით, საღამოს ჟამზე,
წყაროზე წავალ ციცაბ ქლდეებით.
და წყალს ვეწვევი სიამით სამზერს,
სწრაფს, ველურსა და სავსეს მზეებით.

სიხარულისგან ჩუმად ვენთები,
წყალი ცოცხალი ისე მიცქერის,
გატყდება დოქი, უცებ შეეკრთები
და ახალგაზრდად გადავიქცევი.

შადრევანი

მე მიტოვებულ შადრევანს ვგავარ —
შადრევანს, ხმა რომ ესმის წარსულის,
ჩასთვლიმა ხმაურს, მე ისევ ვდგავარ,
არსად არა ვარ სხვაგან წასული.

მე მჯერა მარტო ბედის სიკარგე
და განაჩენი სადღაც შორს მიცდის,
მე არაფერი არ დამიკარგავს
და ხელებს შენსკენ ალერსით ვიწვდი.

მე დამუნჯებულ შადრევანს ვგავარ,
უცხო ბაღნარში შემოველ თითქოს,
უცხო ზეიმში შემკრთალი ვდგავარ,
უცხო სიმღერა თავისკენ მიხმობს.

ვგავარ შადრევანს, წყალთან მისაყვანს,
ზეიმზე ყელი რომ მოიღერა,
და, გაშმაგებულს წყურვილისაგან,
ჰგონია — მის გულს ავსებს სიმღერა.

ჰგონია, მის შხეფს ავსებს სილურჯე
და მკერდს უკოცნის ტალღა ცოცხალი,
ღმერთმა კი თურმე ის დაამუნჯა
და... გადაღვარა ცისფერი წყალი.

ძლიერი ქალი

შენი სახე ჩემს თეთრ დღეებზე ჩრდილივით წვება,
ლურჯკაბიანო, დამწვარი გაქვს მზისაგან სახე,
ჩემს ტკბილ მხარეში მზე იცინის და თაფლი წვეთავს,
მე მახსოვს, როცა სულ პირველად მინდორში გნახე.

როს მიჰყვებოდი ახლადგამთბარ აპრილის მიწას,
იმ დროს დუქანში, ჭუჭყიანი ფიალით ხელში,
ის ღრიალებდა, ვინც მთვარეში შენს გვერდით იწვა
და გითავაზა მერე ბავშვი, როგორც ნუგეში.

გწვავდა სირცხვილი და არა მზე, და მიდიოდი,
მაგრამ შენ ყრიდი თესლს ჯიუტად მიწის უბეში,
როცა მოვიდა იანვარი,[1] შვილს პურს უმკიდი,
და მე მტკიოდა მაშინ გული და მე მიკვირდა
შენ ჩემი ცრემლის მსუბუქ ნისლში მიბარბაცებდი.

მინდა დავკოცნო შენთა ფერხთა ნატეფალები,
შენ შეგნატრებდნენ ბანოვანნი, თეთრი ქალები,
და მე, ჩრდილს შენსას გავაყოლე სიმღერა ჩუმი,
ო, ისე ჩუმი, თითქოს ნაცემი...

---

[1] ჩვენს ივლისს უდრის

ღვთიური მახსოვრობა

მაჩუქეთ ბინდში ვარსკვლავი თეთრი
და შიშველ ხელში ჩამიდეთ ახლავ,
და ითრთოლებენ ჩემი თითები,
და შეშფოთება ციური ახლავთ.
შუქით, რომელიც ცაზე ციმტებს,
მე დავინახე მიწის დაქარგვა,
ქვეყნად, რომელშიც მე დავიბადე.
არავინ იცის, რაა დაკარგვა.

მონახეთ ჩემთვის გამოქვაბული,
ან ჰგავდეს ნაყოფს და ან ქიმერას,
იქ მზე სხივებით იყოს დაბმული
და ოქროს ჭერმა ზეცას უცინოს,
რომ ნახოს ყველამ და მათი მზერა
გაოცებისგან გახდეს უძირო,
გველს ლურჯ წინწკლებით კარს არ დავუხშობ
და მზეზე წითელ მიხაკებს დავრგავ,
ქვეყნად, რომელშიც მე დავიბადე,
არავინ იცის, რაა დაკარგვა.

მომეცით გემი ცისფერ ნაპირთან
და სანდალოზის ტკბილი სურნელით

სავსე იქნება ხომალდი ჩემი,
მიწას, რომელიც დგას და სულ ელის,
სურნელს მიუტანს ხომალდი ჩემი;
ჩემს ხომალდს ყველა ნაპირს მივანდობ,
მჯერა, ინდობს და შეხვდება კარგად,
ქვეყნად, რომელშიც მე დავიბადე,
არავინ იცის, რაა დაკარგვა.

ცხელი ვარსკვლავი შეჭირა ხელში,
როგორც დაისი, იგი იწვოდა,
გამოქვაბულიც მელოდა მთებში,
იცოდა მიწამ და მზემ იცოდა,
არ დამიმალავს არც ერთი მაშინ,
იმ მშვენებაში წყნარად მეძინა,
მათ სიტკბოს ვსვამდი მე, როგორც ბავშვი,
და არ ვიცოდი და არც მესმოდა,
რომ საშიშია სიცოცხლე ასე,
რომ სილამაზეს უნდა ჩარაზვა,
და მე დავკარგე ის სილამაზე,
ვით მზე საღამოს, ისე ანაზდად,
მაგრამ არ მჯერა გაქრობა მათი,
სხვა ოცნებები მომდევს გულიდან,
ქვეყანას, სადაც მე დავიბადე.
სინათლის ტალღა მარად უვლიდა,
იქ ღიმილი და სიხარულია,
იქ ხალხს სული აქვს მზესავით კარგი,
უკვდავი არის მათი სული და
არავინ იცის, რაა დაკარგვა.

ვარსკვლავის ბალადა

ო, ვარსკვლავო, სევდა ჩუმად მადნობს,
ფრთები გრძნობენ შორი ქვეყნის სურვილს,
იმ შორეულ სამშობლოში ნეტავ,
არის უფრო სევდიანი სული,
იქნებ მე ვარ, სევდიანი, მარტო?
— არის უფრო სევდიანი სული.

ო, ვარსკვლავო, მე მეგობარს ვნატრობ,
სხვაც გინახავს ასე მარტოდმარტო,
სხვასაც მხოლოდ მწუხარება ათრობს?
— სხვაც მინახავს ასე მარტოდმარტო.

მე თვალები ავიტკივე ძებნით
და ავტირდი ჩუმი, ლურჯი ცრემლით,
შენ გინახავს სხვა ასეთი ცრემლი?
— არის უფრო საშინელი ცრემლი.

არის უფრო სევდიანი გული,
სამშობლოსგან გადახვეწილს რომ აქვს,
საყვარელი მეგობარის ძებნით?

— არის უფრო სევდიანი გული,
ჩემი გული, — მას სხივები მოაქვს,
ხოლო შუქად გადამექცა ცრემლი.

ვედრება ბუდეზე

ჩემი ძმისათვის შენ მიიღე ეს თხოვნა ფრთხილი,
ო, უპატრონო ბუდისათვის შენ გევედრები!

იქ დღე და ღამე რომ გაისმის ჟღურტული ტკბილი,
იქ დღე და ღამე რომ არ წყდება სიცოცხლის ლოცვა,
რადგან ღვთიური სიმღერებით ხარობს ის ბინა,
რადგან ციური მოფერება ფერად ფრთებს მოსავს.

იგი მაისის ლურჯმა სიომ არხიოს მუდამ
და მთვარის ვერცხლი შემოევლოს დღითა და ღამით,
რომ არ დაემსხვრეს ნაზი ხის რტო იმ ბუდეს წამით,
რომ არ დამძიმდეს ცით მოსული ცისფერი ნამით.

იმ ნაზ ნიჟარას, ბაიებით მოწნულ ნიჟარას,
სიო რომ არხევს და ხის რტოზე ფერმკრთალი რომ დევს,
არ მოუვლინოს ცივი ქარი შიშველმა შარამ
და მხოლოდ ნამის, მხოლოდ ნამის ალერსი ჰქონდეს.

შავი დალალი არ დაჰფინოს ტიალმა წვიმამ,
ველთა ქარებო, არ ეახლოთ ალერსით შმაგით

და ხარბმა მზერამ არ დაჩრდილოს სიკეთის წილი,
ჩემი სავედრო, ძმაი ჩემი და ამხანაგი.

ჩემო უფალო, დაუნდობელს წამებას ველურს
რატომ მოუვლენ უსაყვარლეს ქმნილებათ შენსას,
ჩრდილით მოჰფინე მიხაკების წითელი ველი
და ხავერდის ვარდს დაუბედე ჭკნობა და კვნესა.

მაგრამ, მფარველო, შეიბრალე ბუდე მშიშარა,
მე უპატრონო ბუდისათვის შენ გევედრები.

ხმა რომ სუფთაა, რომ მშვიდია და მოწკრიალე,
იმ სათუთ ბარტყებს შენ არ აბლო გულგრილად ხელი,
პატარა ბუდე, როგორც ბავშვი, ისე ჟრიალებს,
და გულს ჰგავს იგი, ო, უფალო, გულია ჩემი.

ნაპოვნი

ყვითელ მინდორში
მე ბავშვი ვნახე,
ძნაში ჩაერგო
პაწია სახე,
და მას ეძინა,
ეძინა ტკბილად.

ან იქნებ იწვა,
ვით ღამის დარდ-,
და, მე მეგონა,
ფურცელი ვარდის.

მინდა ვაკოცო,
და ვერა ვბედავ,
თორემ ნამივით
ის აორთქლდება,
ყვითელ მინდორში
პაწია ბავშვი.

ბავშვი მარტო დარჩა

გზა მივატოვე, როს მომესმა ტირილი წყნარი
და იდგა სახლი და მე კარი შევაღე ფრთხილად,
შიშით და ნდობით სავსე ორი, ბავშვური თვალი...
და მე ვიგრძენი თავბრუსხვევა საოცრად ტკბილი.
ალბათ, მინდორში მწვანე თავთავს შემორჩა დედა.

ო, იქ დამათრო მე სინაზემ, ვითარცა ღვინომ,
ტიროდა ბავშვი, ალბათ ძილში ესიზმრა დედა,
გულში ჩავიკარ და ალერსით ვუთხარი: „შვილო“,
და დაიბადა იავნანა ღიმილთან ერთად,
ალბათ მინდორში მწვანე თავთავს შემორჩა დედა.

ღია სარკმლიდან გვიყურებდა მთოვარე თეთრი,
ბავშვს კი ეძინა... მე სიმდიდრით ამევსო მკერდი,
შემოდიოდა სულში სითბო წყნარი სიმღერის.
და, როცა ქალი შემოიჭრა ოთახში ერთი,
შვილი იხილა ამ მთრთოლვარე ხელების გვერდით,
მან არ წამართვა, ო, სინაზე იგრძნო იმხელა...

მანათობელი წრე

ათასი ბავშვის ღიმილი,
ათასი ბავშვის წრე,
გაფერმკრთალებულ მიწაზე,
სადაც ანათებს მზე,
ამ ბრწყინვალების ბატონად
ვინ ამირჩია მე?

ამ მიტოვებულ მიწაზე,
ცხელ ნაბზარებზე ჩანს
უზარმაზარი ყვავილი,
ველებს ნათელს რომ ჰფენს,
უზარმაზარი ყვავილი —
— ჩემი ბავშვების წრე.

ვაკეთა მწვანე ფერებში,
მთების მოლურჯო გზით,
სადაც იჭრება ნაზი ხმა,
და, ფერებია ცის,
მარტო შემორჩა ჩემი წრე
და იქ ღვთიურად თრთის.

შორით, უსაზღვრო სტეპებში,
სადაც დავდივარ მე,
მწუხარებისგან გამხმარი,
მიწა კვნესით რომ წევს,
სიყვარულისგან ანთია,
ჩემი ბავშვების წრე.

ვერვინ დამიხშობს სიმღერას,
იმედის ცისფერ ფერს,
ვერც გათელავენ ოცნებებს,
სანამ ანათებს მზე,
იმედს უმღერის ხმამაღლა
ათასი ბავშვის წრე.

დაირღვეს სტროფი წამების,
იმედი ღიმილს მფენს,
იმედს უმღერის სიმღერას,
მზისქვეშ, მზესავით მწველს,
ათასი ბავშვის სინათლე,
ათასი ბავშვის წრე.

ჩამეხუტე გულში

ჩემი სხეულის ნამცეცო,
გფარავდა სიღრმე უძირო,
ჩემო მცივანა ბუმბულო,
ჩამეხუტე და იძინე.

მწყერს ჩაეძინა და ესმის,
დადის ჩიტი და იცინის,
შენ ჩემი სუნთქვა არ გიშლის?
ჩამეხუტე და იძინე.

ჩემო მთრთოლვარე ბალახო,
დედილოს ნუ მოიცილებ,
შენს აპრილს ჯერ ეშინია,
ჩამეხუტე და იძინე,

მე მოსვენება დავკარგე,
ძილშიაც თვალებს ვიცივებ,
ო, ჩემს ხელებზე, პატარავ,
იძინე, ტკბილად იძინე.

უძილობა

ახლა მეფე ვარ, მაგრამ ერთ დროს ვიყავ მთხოვარი,
და მე არ მტოვებს შეშფოთების მსუბუქი ჟრჟოლა,
და გეკითხები სიხარულის ჩუმად მთოვარი,
შენ ისევ აქ ხარ? ისევ აქ ხარ? — სულ გეკითხები.

და მინდა ყველა გზებს მოვფინო ჩემი ღიმილი,
გავენდო ყველას — შენ მოხვედი, მოხვედი ისევ,
მაგრამ ძილშიაც მაკრთობს შიში ვერცხლის ღილივით
და გეკითხები: — ისევ აქ ხარ? — და შიშით გიმზერ.

მწუხარება

ეს — მწუხარების საათია, ზღვის წყალზე მწარე
და ერთადერთი,
გზა არის სავსე ჩრდილებით და მიბნელებს თვალებს,
მიშველე, ღმერთო.

ვით მზის ფუტკარი, სიყვარული სადღაც გაფრინდა,
და ცეცხლით სავსემ
დასწვა ბაგენი, სიმღერები, სიტკბოს დამპირდა
და შხამი მასვა.

წყლებში აენთო, გადალახა შავი კლდეები,
მოძებნა ტალღა,
გაყვითლებული ხე დაბერტყა ჩემი დღეების
და გაქრა სადღაც.

შენ დამინახე, მე ბილიკზე როგორ მეძინა,
ერთხელ, ანაზდად
და ჩემი წყარო აწკრიალდა და ჩავიძირე,
სიზმარში ნაზად.

შენ იცი, როგორ მაშინებდა მკაცრი ჩვენება
არა სიზმარში
და მაინც ვნახე, მაინც ვნახე შავი ფერებით
მწუხარე ზარში.

ახლა. ობოლი, სიბნელეში ვაცეცებ თვალებს
და შენს სახლს ვეძებ
და ოხვრით ვნატრობ, ნეტავ, ვიდრე ჩამივა მთვარე,
შემომხვდე ბედზე.

მოვყვები შენს გზას, ნუ მარიდებ შენს ნათელ მზერას
და კლდეთა ნაპრალს
შემკრთალი ვუცქერ, ნუ ჩამიქრობ აპრილის მზეებს,
ჩემს კეთილ ლამპარს,

თუ კარს ჩარაზავ, არასოდეს დამავიწყდება
დარდი და დაღლა,
არის ზამთარი და გიჟური ხმები არ წყდება.
დაბლა და მაღლა,

შეშლილ თვალებით ღამე მიცქერს და მეშინია,
ბრჭყვიალებს თოვლი,
მე ობოლი ვარ, მაგრამ ვიცი, შენი შვილი ვარ,
მამა ხარ, შორით,

რამდენი თვალი მიცქეროდა, როგორც დილის მზე,
გაქრნენ, ვით ბოლი,

შენი თვალები ერთადერთნი შემრჩნენ ბილიკზე..
სავსენი თრთოლვით,

ჩუმად ვიცქერ და გევედრები, გამათბე მზერით,
გამთოშა ფიქრმა,
მაგრამ, ვაიმე, საყვარელი თვალები შენი
დაფარა ფიფქმა.

ბალადა

მან ჩამიარა თვალწინ
და მიჰყვებოდა სხვას.
ქროდა მსუბუქი ქარი,
იყო მშვიდობის გზა,
მან ჩამიარა თვალწინ
და მიჰყვებოდა სხვას.

მან შეიყვარა იგი,
როგორც ვარდობის თვე,
მკვდარი სიმღერის იქით
მან მიმატოვა მე,
მან შეიყვარა იგი,
როგორც ვარდობის თვე.

ის ეხვეოდა ლხენით
ო, ეხვეოდა სხვას,
და იყო თოვლისფერი,
ტალღაზე მთვარის გზა,
მე კი ხელი მკრა, ხელი,
ო, იმ უძირო ხღვაშ.

მან ჩაიარა სხვასთან,
ეძებს სამოთხის მზეს,
რა სიჩუმეა ცასთან
(დუმილი უყვარს ღმერთს),
მან ჩაიარა სხვასთან,
ეძებს სამოთხის მზეს!

ასე სურს ღმერთს

1

მიწა გაგიხდეს დედინაცვალი,
დაგიბარბაცდეს ცა და ხმელეთი,
შენ ჩემი სული თუკი გასცვალე,
თუკი მოჰგვარე თვალებს ბნელეთი.

და დაემჩნევა ჰაერს კანკალი,
ჩემი თვალების სიმწუხარეში,
მაგრამ, ო, არა, ტანჯვა მაკმარე,
მზე ჩამიღვარე ისევ თვალებში.

მე დავალ ქვეყნად შენი ზიარი
და დღეს სამყარო გამშვენიერდა
და ჩემი სული, მუდამ მზიანი,
შენს მოფერებას ჩუმად მიენდო.

წითლად ღვიოდა ახლოს ასკილი,
როცა სიტყვები უცებ დავკარგეთ,
და მე გავფითრდი, როგორც მესკილ,
დამივიწროვდა სულის საკანი.

და სიყვარული, როგორც ასკილი,
სხეულს გვივსებდა ტკბილი სურნელით
და მე ვიყავი შენი მესკია,
ფრთადაწინწკლული ნაზი სურვილით.

...მაგრამ გველები ისისინებენ
თუ მიღალატებ და გამეცლები,
მე ვიცი, ასე ღმერთმა ინება,
ჰოდა, ძვირფასო, ნუ გაოცდები;

მე ვიცი, წახვალ და დაბრუნდები,
რომ არ გადმექცეს ცა იავარად,
ო, მე მანამდე ვერ დავდუმდები,
სანამ არ ვუმღერ შვილს იავნანას.

თუ წახვედი და აღარ დაბრუნდი,
თუ უყვავილოდ დატოვე ნუში
თუ წახვედი და მზეში დამბინდე,
ჩაქრება ქრისტე ჩემს ნათელ გულში.

და, მავედრებელს ჩემი კარები
დაუმტვრევს ხელებს, ჩემსკენ გამოწვდილს
და დიდ სიჩუმეს შევეფარები,
წყეულ სიჩუმეს, დიდს და გამოცდილს
და თვალდათხრილი ბრმების ქვითინი
არ შემაწუხებს გულგაციებულს
და შენ გაქრები ჩემში მითივით
და დაჭკნებიან ჩემი იები.

შენ მიღალატე, შენ მიღალატე.
და სხვის ბაგეებს თაფლი მიეცი,
თურმე ყოფილხარ შენ მუხანათი,
ასე დამაჭკნე და გამიმეტე.

მაგრამ მუხლჩოქვით გამოქვაბულებს
ყურს მივაპყრობ და შენს ხმას დავეძებ,
მიწა უცხოა და უდაბური,
ვარდი დამიგებს ეკლის სარეცელს;
ვერა, ვერ დაგთმო გულმა წყეულმა,
თუმცა დამტოვე გატეხილ ბონდზე,
გეძახი დარდით გადარეული
და ირემივით გეძებ და მოგდევ,
ტყეში და მზეში, ბილიკთა შორის,
თრთოლვით მოვაგნებ ნაცნობ ნაკვალევს,
სადა ხარ ახლა მუნჯი და შორი,
რატომ დამკარგე, რატომ დაგკარგე?
მთებში დაგყვები, როგორც ირემი,
და უცხო ქალის სახე უნდილი
ცად აენთება და ცად ილევა
და სიბნელეში ქრება ქურდივით
დღესასწაული ოქროს ზარებით
უცხო ბაგეებს ცეცხლად ენთებათ,
შემოგხედავენ ჩემი თვალები,
არ ეღირსება მას გალმერთება,

იქნებ ქვესკნელი შვებას გპირდება,
რომ მასთან ერთად იყოთ მთვრალები,
არ გეღირსება შენ დამშვიდება,
შემოგცქერიან ჩემი თვალები.

III

არ მოგცემს ღმერთი სავალ-სამკვიდროს,
თუ იმ სავალზე სხვა გიხაროდა,
არ მოგცემს წყალს და სულ არ დაგინდობს,
მე თუ არ ვიქენ მაშინ წყაროსთან,
და თუ დღეები სხვას უსახსოვრე
და თუ დღეებში ჩუმად გამცვალე,
ღამე შენ თვალებს ვერ დაასვენებ,
ო, ძილი ღმერთმა არ დაგაცალოს.

IV

წახვალ, გაგყვება მაცდურ მეგზურად
ძუნწი შიმშილი, ხარბი წყურვილი,
ამომევსება დარდით მე სული,
ამომევსება ნახვის სურვილით,
მერე შენს გზაზე ჩუმად გავივლი
და უკანასკნელ ხავსს დავუჩოქებ,
რად მიატოვე შენი ყვავილი,
საით დადიხარ ახლა უჩემოდ?!
ჩემი ჭრილობის მუქი წყლულები
დაგიკარგავენ შენ მოსვენებას
და სისხლიანი, შმაგი სულებით

მოვა დაისის ჩუმი ხსენება,
ან იქნებ ვეღარ გიცან სახეზე,
დაგეძებ, მაგრამ ვერ მოგაგენი,
ეძახი უცხოს, მაგრამ ბააგებს
წყდებათ უეცრად ჩემი სახელი,
შენს ყელს ჩავაკვდი, როგორც მარილი,
აგავსე შმაგი წყურვილით ასე,
შემოგეტმასნე სულზე ალივით,
და აღარ გიშვებ მე უცხო გზაზე.
გტანჯავს, გაწამებს არდაცწყება,
ზიზღით, დიდებით ავსებ მოძახილს,
და როცა ცაზე დილა იწყება,
მე, მხოლოდ მე, კვლავ ჭმუნვით მომძახი

V

თუ შენ მოკვდები უცხო მხარეში,
ხელგამოწვდილი ცისფერ ტინებაღ,
ათ წელს იმატებს ქარის თარეში
და ჩემი ცრემლი დაგედინება,
და იცახცახებს შენი სხეული,
ვით თავთავები ქარში თავს ხრიან,
ააკანკალებს ტანს შმაგი დარდი,
ვით თავთავები ქარში თავს ხრიან,
ვიდრე გამვლელნი, უგულო კაცნი,
ჩემი ძვლების ფერფლს არ მოგაყრიან.

მწვერვალი

საღამოს საათი, საღამოს საათი,
სისხლით იღებება მთები,
ვიღაცას უქრება უკვდავი სანათი,
ვიღაცა უკვალოდ ქრება.

საღამოს ერევა სინაზე ქალური,
ჩრდილებში ქალური დარდი.
მწვერვალზე გულია, გულია ფარული,
გული ფეხაკრეფით დადის.

იმ გულს სიბნელეში სინათლე წაართვეს,
იმ გულს დააფარეს ჩრდილი,
მწვერვალზე გაუქრა უკვდავი სანათი,
თვალები აევსო სილით.

იმ გულს სიბნელეში სინათლე წაართვეს,
სინაზე აუვსეს ზიზღით,
და რეკავს საათი, საღამოს საათი
და წვეთავს გულიდან სისხლი.

ო, ეს მან აანთო ბინდისას მწვერვალი
და წითლად შეღება მთები,
ახლა ვინ უშველის, ვერავინ, ვერავინ
და გული უკვალოდ ქრება.

ველზე აშრიალდა ჩრდილი და სიჩუმე
და ველზე საღამო წვება
და შიშით შესცქერის ჩრდილი და სიჩუმე
საღამოს ანთებულ მწვერვალს.

ო, ასეთ წუთებში მე ხმა მიმწუხრდება
და, ნისლმორეული ვმღერი,
ფერი მეწამული, მწვერვალს რომ უხდება —
ის ალბათ სისხლია ჩემი.

საღამოს საათი, საღამოს ღმერთები,
ბილიკზე ფითრდება შური,
ხელს გულთან მივიტან და უცებ შევკრთები, —
წასულა, წასულა... გული.

სევდიანი ღმერთი

ამ მიტოვებულ, ფერმკრთალ ხეივანს
სიბერისაგან ფარავს სიყვითლე,
ფარავს სიშიშვლე ფერმკრთალ ხეივანს
რადგან სიჩუმე ფოთლით იყიდა.

დავდივარ ჩუმი და დარდიანი,
ქარი ფერსა და ტირილს მომიტანს
და ღმერთს დავეძებ გულჩადრიანი,
მე მოფერება მისი მომინდა.

ამ საღამოთი, ამ საღამოთი,
მოვნახავ ფერებს ყვითელს და წითელს
და მოვიგონებ, რაც მიხაროდა, —
ჩემი წარსულის მხიარულ ჩითებს.

ამ საღამოთი, ნაზ საღამოთი,
ჩუმ ხეივანში, მარტო და ერთი,
როგორც სიკვდილი, როგორც ღალატი
მე დავინახე ფერმკრთალი ღმერთი.

ღმერთი, უმზეოდ მიჩუმებული
და ბორიალი მისი ღამეში,
ვის მოუპარავს შუქი მეფური
ამ ოქტომბერის სიმწუხარეში.

მე ვიცი, მასაც წვიმა უჩვენეს,
მე ვიცი, იგიც დატოვეს ერთი,
შემეცოდება უცებ უჩუმრად,
ის — შემოდგომის ყვითელი ღმერთი.

იქნებ, არც იყო ქვეყნად უფალი,
ვინც დასვა დილა ქვეყნის პატარძლად,
ნუთუ მზე მართლა ამ ღმერთს ებარა,
ან იქნებ იმ მზემ ჩუმად გადაწვა?

დასუსტებია თვალი და მაჯა,
ჩავარდნილ ღაწვებს შიშით შევყურებ,
უკვდავი ძალა ნეტავ სად დარჩა,
რა აყივყივებთ ცისფერ ბეღურებს?

მის სულში ახლა მხოლოდ მიწაა
და ფოთოლცვენის მსუბუქი ჩქამი,
ნეტავ რითაა, ნეტავ რითაა
სიკვდილი ასე ჩუმი და ჩქარი.

და შემომცქერის დიდი თვალებით
და ფოთოლცვენა მზერას დაბინდავს,

ახლა მას არსად არ ეჩქარება,
ყვითელ სიჩუმეს ფრთხილად დამპირდა.

ფრთხილად დამპირდა და ცა უჩნდება,
სიცარიელე თვალებს აუვსებს
და მისი მზერა უცებ ლურჯდება,
თითქოს აჩუქეს ლილა აუზებს.

და მისი მზერა უცებ ლურჯდება,
კიაფობს ლურჯი სიცარიელე
და ოქტომბერი სულში უჩნდება,
როგორც ყვავილი ჩუმი იელის.

[illegible]
[illegible]ე მისი მზერა მბინდავს და მაკრთობს,
ცარიელი და ცასავით შორი
და მე დავდივარ სულ მარტოდმარტო
და ძირს მიცვივა ხელების თოვლი.

ამ ღმერთისათვის ლოცვას დავეძებ, —
მიწას არ უთქვამს ასეთი ლოცვა
და ხეივანის ყვითელ სარეცელს
დაეცემიან წვიმები როცა,

მე ვიტყვი მაშინ, ჩურჩულით ვიტყვი,
უბრალო სიტყვით, არა გრძნეულით, —
ავადმყოფური ფერებით, ფითრით
ამღვრეულია შენი სხეული.

ვიცი, შემინდობ ბალღივით შენა,
თუ მე სიმართლეს გეტყვი უბრალოდ.
მე არაფერს გთხოვ, გიცნობ და მჯერა,
მაგრამ, შენ სული გტკივა, უფალო.

პოემა შვილზე

I

მე ვაჟი გთხოვე, ვაჟი გთხოვე სიამის წუთში,
მე ვაჟი გთხოვე, მიწიერო, ჩემი და შენი,
მერე სიზმრები ფათურობდნენ მთრთოლვარე გულში.
შენი სიზმრები ფათურობდნენ შიშნარევ მზერით.

მე ვაჟი გთხოვე და ხეს ვგავდი აპრილის თვეში,
მწვანე კვირტებით მომლოდინეს და წასულს ზევით.
მე შვილი გთხოვე, შვილი გთხოვე, როგორც ნუგეში,
გაოცებული თვალებით და საყვარელ მზერით.

მისი ხელები ყვავილების გვირგვინებს ჰგავდნენ,
შემომეხვიონ და სიცოცხლე მანატრონ ტკბილი,
ჩემი ცხოვრების მდინარეში მოჰქონდეს დარდი
და იყოს მდელო, მოყვავილე, ვრცელი და თბილი.

იქ სული ჩემი, ვით სურნელი ხეივნის ლურჯის,
იქ სული ჩემი — მიუწვდომი სიგრილე ღამის,
მიეგებება და იმღერებს მწვერვალი მუნჯი
და სალ კლდეებში ამღერდება მაისის ქარი

გახსოვს, ზეიმზე, შევცქეროდით მომავალ დედებს,
ო, ჭრელ კაბებში იცინოდა სიცოცხლე ჩუმად,
ო, ჭრელ კაბებში იცინოდა ხმამაღლა ბედი
და მუნჯურ კითხვებს ვაგებებდი მე უნებურად.

და ყველგან, ყველგან ინთებოდნენ თვალები ბავშვის,
ისინი ჰგავდნენ მზეს, ამოსულს ადრიან დილით,
ღამე მიწიდან მივდიოდი მოლურჯო ცაში,
ღამე მიწიდან მივდიოდი ნაზი და ფრთხილი.

და არ მეძინა, არ მეძინა, ვფიქრობდი ჩუმად,
და ეცემოდა მთვარის შუქი სარეკელს ჩემსას,
— შევარდენივით მომევლინოს ლამაზი სულით,
კრთოდა სხეული, რიჟრაჟივით იცვლიდა ფერსა.

მის საბანებლად დიდი მზეა ძალიან ცოტა,
ხან დავტიროდი ჩემს თოვლისფერ და გამხდარ მუხლებს,
მისთვის ყოველი მე მეგონა ცოტა და ცუდი,
ჩუმად ვფიქრობდი, დამავიწყდა დილა და მწუხრი.

ო, არა ღმერთის, — მე ველოდი საჩუქარს მიწის
და ყველაფერი ცახცახებდა სხეულში მაშინ,
უბრალოება თვალებიდან წვიმდა და ვიცი,
უბრალოება ადიოდა მიწიდან ცაში.

სამარადისო განშორების არ მქონდა შიში,
არარაობას მაცილებდნენ თვალები შენი,

თითქოს შენეულ თბილი მზერის სხივებქვეშ ვიშვი, —
ახლა ის მოვა შენეული თვალების მზერით.

მე შვილი ვთხოვე, შვილი გთხოვე სიამის წუთში,
მე შვილი გთხოვე, მიწიერო, ჩემი და შენი,
მერე სიზმრები ფათურობდნენ მთრთოლვარე გულში,
შენი სიზმრები ფათურობდნენ შიშნარევ მზერით.

II

აჰა, მოვიდა ოცდაათი, დაღლილი წელი
და საფეთქლებთან გამიბრწყინდა სიკვდილის ფერფლი,
ო, ადრეული, უნაყოფო დამიდგა რთველი,
მოვიდა ღამე — დაღონების ბოროტი მეფე.

როგორც ცასავით სამუდამო და მძიმე წვიმას, —
ამოუვსია ჩემი გული ცრემლების ბალღამს,
მე წამებისთვის დავიბადე დიდი ხნის წინათ,
ამაოებას, მეგობარო, ჩემს სულში ნახავ;

და მე სულ ვფიქრობ, ნაზ თვალებზე ნანატრი ბავშვის,
როგორი შვილი ერგებოდა ჩემნაირ დედას,
მე დავიღალე, დავიღალე მზესა და ქარში,
მე დავიღალე და არასდროს ვინატრებ მეტად.

მას ექნებოდა ჩემი გული, სუსტი და ჩვილი,
დამარცხებული ქალის გული — ტკივილს რომ მასევს,
მას ექნებოდა შენი გულიც — ეზესავით თბილი,
აყვავებული, შხამიანი ყვავილით სავსე.

ის იცინებდა, იცინებდა ტუჩებით შენით,
ო, ის ტუჩები... სამუდამოდ სიცრუის ბინად
გადიქცეოდნენ, როგორც შენ ხარ, უნდობი მზერით,
ახლა კი ვიცი... არაარსებულ ღრუბელში ძინავთ;

ის არასოდეს გაიგებდა სიყვარულს დედის,
მე დამტოვებდა, იქნებოდა სიამე მამის,
ასეთი არის ჩემი მკაცრი, უნდობი ბედი, —
მე სიხარული სიცოცხლეში ვეგრძენი წამით.

ჰო, რომელ წყალში ანდა ველზე შემოსვდა დაისს.
სად მოიბანა ჩემეული ტკივილის სისხლი,
ო, მე სამზეო ფერხულებში ვტიროდი მაინც,
თითქოს მეცმოდა მისი ოხვრა და კვნესა მისი.

მე დავუყრიდი ჭრილობაზე ცრემლების მარილს
და განვკურნავდი ჩემს შევარდენს — სწრაფსა და ამაყს
და მიბვდებოდა, რომ არაა ის მხოლოდ მამის
და გამიგებდა უსვეულო და ფაქიზ ამაგს.

ან იქნებ ეთქვა, მოკუმული ტუჩებით, რისხვით,
ვით მე ვუთხარი ჩემს დედ-მამას, ტკივილით, ერთ დროს:
„მწუხარებისთვის თქვენ მოსულხართ და ნეტავ რისთვის
დამბადეთ მეც, რომ მწუხარება ასეთი მერგოს?“

და არის მწარე სიხარული რომ ჩუმად გძინავს,
მიწის საწოლში ჩუმად გძინავს და ვერას ხედავ,

ალარ დავარწევ ჩემს ვაჟიშვილს, თოთოს და მცანარს,
როგორც მუნჯ ჭაში, მეძინება უშვილო დედას.

ო, მაგრამ ალბა, სიგიჟემდე მისული, ცაო,
წამოვდგებოდი შავ ღამეში, ყოველის მსმენი,
დამდნარ მუხლებში ჩემი ძვლები ასტეხდნენ ხმაურს,
თუ ათრთოლებდა შორეულ შვილს ცეცება ჩემი.

ღვთიურ სიწყნარეს ვერ მომცემდა საფლავის ჭერი,
მწარე დარდები დასტანჯავდნენ უბიწო სხეულს,
სამარადისოდ დასისხლული ვენები ჩემი
შთამომავლობას მანახვებდნენ მე ასე ეულს.

ბედნიერი ვარ, როგორც წიგნში ფურცელი ბოლო,
ბედი აქვს საშოს, ჩემი გვარი სად ჩუმად კვდება.
სახე დედისა ერთხელ იყო მიწაზე მბოლოდ
და ალარასდროს ალარ შოვა აქ ჩემი დედა;

არ აკვნესდება ძალუმ ქარში ჩურჩული მისი,
ტყეთა შრიალში ჩავიძირე მშფოთვარე ძილით
ტყეთა შრიალში, როცა ხეთა სიმღერა ისმის,
ხე დაეცემა და უმალვე ადგება დილით.

მე დავეცემი, რომ ალასდროს წამოვდგე მეტად
და დიდ ღამეში ნათესავებს ვუპოვი ბინას,
რომ არ ვიყავი ქვეყანაზე შვილების დედა,
პასუხს მომთხოვენ სამარეში უსასოდ მძინარს.

და ჩუმად კვნესის ჩემი გული და ოხრავს ჩუმად,
როგორც სკა ღამით, ჩემი გული ოხრავს და კვნესის.
ჩემს სიცოცხლეში ურევია ბუნება სულაც
და, ვით მდინარე, დარდი მტოვებს და დიდ ზღვას ერთვის

ო, ჩემი მკვდრები ფერმიხდილნი შესცქერენ დაისს
და ჩემთან ერთად ბრმავდებიან, შეშლილნი დარდით.
ო, ჩემი მკვდრები ვერასოდეს ნახავენ მაისს
და ბრმა თვალებზე ეფარებათ სიკვდილის ბადე.

ვიდრე საბრალოდ მიმაჩუმებს მე — მიწის პოვნა,
ვიდრე დუმილით სამუდამოდ აივსოს სურა,
ჩემი სიმღერა შეიბრალეთ, მიიღეთ თხოვნა,
ო, შეიბრალეთ ნაწამები სიმღერა სულის.

ჩემთვის არ ვთესდი, მოწმე არის მიწა და ზეცა,
და ჩემთვის სულ არ ვასწავლიდი სიკეთეს ყველას
და ახლა, როცა სუნთქვა მტოვებს ასე უეცრად,
მე მიწის მღვიძეს შევეხები დაღლილი ხელით.

უცხო ბავშვები გამოვზარდე, არ მერქვა დედა,
მხოლოდ სიმღერა სამუდამოდ ფარულად ვიძმე,
მხოლოდ სიმღერის შეცოდებას შემკრთალი ვბედავ
და დაღლილ გულზე ლურჯი ჩრდილი ღამეში მიძევს.

მაპაო ჩვენო, ჩემს წამებას ჩურჩულით განდობ,
ო, მომენატრა ღრუბლის ფთილა და ზეცის ჩერო
და თუ მოვკვდები მე ამ ღამით სრულიად მარტო,
მიიღე ჩემი დახრილი თავი, უფალო ჩემო.

სიკვდილის სონეტები

I

შენ მიგატოვეს სამარეში და მიგცეს ძეძვებს,
მზემ განთიადზე გაანათა ბორცვი უმალვე,
მათ არ იცოდნენ, რომ მე იმავ სარეცელს ვეძებ
და ჩვენ ორთავე ვნახავთ სიზმრებს ერთ სასთუმალზე.

მე მოგასვენებ ამ მიწაში წყნარად და ნაზად,
ვითარცა დედა ავადმყოფ შვილს აძინებს მღერით
და დედამიწა იავნანად გექცევა ასე,
გექნება ძილი სამუდამო, მშვიდი და ვრცელი.

მე მოგაცილებ ვარდს და მიწას, მზეში არეულთ
და ჰაეროვანს, ნაზ და ცისფერ მთოვარის ქვეშე,
ამ განშორებას, ტყვედ დარჩება შენი ცხედარი.

და მე ვიმღერებ — შურისგება ისე მალია,
ვერ ჩასწვდებიან სხვა ხელები ამ მიწისქვეშეთს
და ძვლებისათვის ჩემთან დავს ვერ გაბედავენ.

II

მერე მოვა დღე, ძძიმე დაღლა აავსებს სხეულს
და ეტყვის სული ხორცს, რომ არ სურს ტარება მისი.
ო, ამ ვარდისფერ სიცოცხლეში რა უნდა ეულს,
სადაც ანთია გაზაფხული და შუქი მზისა.

და გაიგონებ, როგორ თხრიან შენს გვერდით საფლავს,
სხვამ მიიძინა სამუდამოდ და შენსკენ მოდის,
დამაფარებენ მარადიულ, ღამისფერ საბანს
და ვეღარასდროს ვერ გავიგებთ, მოვედით როდის.

და მხოლოდ მაშინ მიმიხვდები, ო, ასე ადრე,
როს ბაგეებით ტკბილად სვამდი სიცოცხლის წყაროს,
რად დაიძინე, უტკივილოდ რატომ იყავი.

ნისლიანიდან მოგანათებს სინათლე ბადრი,
ორი ვარსკვლავი ერთად უნდა მოწყდეს სამყაროს,
ფიცი გატეხე და შენ უნდა მომკვდარიყავი.

III

გზა მიეც ხელებს, სად ლოტოსებს მზე ღიმილს ჰფენდა,
ჩვენ იქ ვცხოვრობდით სიხარულით, რა იყო მერე,
მე ვარსკვლავებმა მანიშნეს და წავედი შენგან
და გული შენი შენ გაუხსენ იმ ბოროტ ხელებს.

და მე ვუთხარი მაშინ უფალს: „სიკვდილის გზებზე
თუ ჩვენ არ ვიხსნით, ის უფსკრულში დაიწყებს ფრიალს,

ან გამოსტაცე ამ უსაქმურ და ბოროტ ხელებს
ან დააძინე ძილით, რასაც სიკვდილი აქვია.

ო, მე ვერ შეცძელ ვერც ყვირილი, ვერც მასთან მისვლა,
სამგლოვიარო ქარის ქვეშე მიჰქრის ფარულად
ან დამიბრუნე, ან დალუპე ხორცი უკვალოდ".

ფსკერი იპოვა ვარდისფერმა ხომალდმა მისმა,
სიყვარულისთვის მე მოვკალი დღეს სინანული,
და, როცა განმსჯი, შენ გამიგებ ამას, უფალო.

მინდა ვიხილო იგი ისევ

– აღარასოდეს — არც ვარსკვლავთა მსუბუქ ცახცახში,
არც მზის ღიმილში, როცა ფეთქავს დილა საამოდ,
აღარასოდეს, აღარც მიმქრალ, დაღლილ საღამოს,

აღარც ბილიკზე, აღარც ტყეში, აღარც მინდვრებში,
აღარც ქარებში, აღარც მზეში, აღარც წვიმაში,
არც ნაკადულის მოვერცხლისფრო, მსუბუქ ბრწყინვაში,

აღარც ტყეების გაშლილ მწვანე დალალებს ქვეშე,
სადაც ვეძახდი და ველოდი ფოთლების იქით, —
აღარასოდეს აღარ მოვა ნეტავ იგი? —

ისევ ვეძახი, გამოქვაბულს უთრთის კედლები,
გაისმის ექო და ირხევა ტყის მწვანე ფარჩა,
მზე ჩადის ნელა, მიმწუხრდება და იგი არ ჩანს.

ო, სულ ერთია, სადაც უნდა იყოს, შევხვდები —
ციციქეთურში, სადაც ღრუბლებს ანათებს ელვა,
ფერმკრთალ მთვარეში და ცრემლებში მოვნახავ ღელვით.

მასთან რომ მინდა საუბარამდე ფიქრი და ყოფნა,
ალბათ ამიტომ ცამ და მიწამ მე დამაკისრეს,
ხელების თრთოლვით მოვეფერო სისხლიან კისერს.

ᲕᲘᲛᲜᲘ ტᲠᲝᲞᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲖᲔᲡ

მზეო ინკების[1], მზევ მაიასი[2],
ამერიკულო, მწიფე ნაყოფო,
მითხარი, შენი მწველი მზერის ქვეშ
მუქი მაია[3] როგორ ამყოფე,

ᲕᲐᲒ ᲐᲜᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
რომ გიჟდებოდა კიჩუას კაცი[4],
და ტანი ძველი აიმარასი[5],
როგორ შეღებე წითელი ცარცით.

შენ ხარ მხატვარი, შენ ხარ მტვიფრავი,
ლეოპარდის და კაცთა ტომიდან,
შენ მზე ხარ მთათა და უდაბნოთა
და, ვით მდინარე, გვაგნებ შორიდან.

შენ მზე ხარ ველის და წყაროების,
ჭალამ, მინდვრებმა შეგარქვეს ღმერთი,

1-2-3-4-5 — ძველ ინდიელთა ტომების სახელებია.

შენ წითელ ხოხობს ჰგავხარ მოსვლისას,
წასვლისას ხდები ხოხობი თეთრი.

შენ უვალ გზებზე მიგვიძღვი ხოლმე,
ოქროს მდევარი, მარად ცოცხალი,
მიწაზეც, წყალშიც შენა ხარ ფროშა,
და ძმათა ჩემთა ხარ სალოცავი.

თუ დავიკარგეთ, დაგვძებნეთ, სადაც
ცხელი კლდეების ჩნდება ნაბზარი,
ეს არის მიწა პურის ხეების
ეს არის მიწა პერუს ბალზამის.

კუსკოს [1] ველებზე უდაბნოს ზევით,
ჩუმად თეთრდები, შუქის ზიარო,
შენ ხარ მექსიკის დიდი სიმღერა,
მაიების [2] ცად რომ ხეტიალობს.

ჰგავხარ საოცარ, ცეცხლოვან მაისს [3],
რომელიც ყველგან წყურიათ ბაგეთ,
როგორც წყუროდათ და მოელოდნენ
ციურ მანანას სიკვდილის აქეთ.

მინდვრების ზემოთ გაირბენ ლაქვარდს,
სილურჯე მარად მაღლა გეწევა,

---

[1] დეპარტამენტია პერუში.
[2] ასე ეძახდნენ ინდიელები ნახევარკუნძულ იუკატანს.
[3] სიმინდი.

ირემო თეთრო და ხან წითელო,
შენ დაჭრილი ხარ, დაჭრილი მძიმედ,
მაგრამ ვერავინ ვერ დაგეწევა.

მზეო ანდების, მცველო ერთგულო,
ხარ ჩვენი სახე მარადიული,
მწყემსო მაღალო, ვინ დაგემდუროს,
ცაზე ბალახობს ფარა მზიური.

იწვი, არ დნები, ვიწვით, არ გვადნობ,
ცისფერ ღრუბლებში თრთოლვით გვღებულობ,
ფიქრი კეთილი როგორ არ განდო,
კეტსალო[1] ჩემო, გათეთრებულო.

ცეცხლით შეგვქმენ და საზრდო მოგვეცი,
ახლა სიმრავლით ვგავართ ვარსკვლავებს
და ყოველ დილით ჩვენს დასანახად,
ფრთხილად შეუღებ ცისფერ ცას კარებს.

შენ, ინდიელთა გტკივა ჭრილობა,
და ინდიელთა შენ ხარ მკურნალი.
და ჩვენ გვიხდება შენი შვილობა
და თბილ თვალებში გიმზერთ მუდარით.

ნაზი თითებით შვებას ჰპირდები
და გაანათებ სხეულს ბინდიანს:

---

[1] მითიური ფრინველია.

შენ სიყვარულით იხსნი ინდიელს
და სიყვარულით მოკლავ ინდიელს.

წმიდა მამაო ყველა ხელობის,
ნუშისებური, სათნო თვალებით,
მამავ თენების, მამავ ფერების,
ციურო ფესვო, ცას ეფარები.

ქსოვ და აშენებ, ართავ და ღებავ,
ხან პირქუშ ფერებს სტაცებ არწივებს,
შენი ღიმილი და შენი ნება
ფერად ყვავილებს ამოაბრწყინებს.

ასე ეწვევი ქოხებს ღარიბულს,
ინდიელ ქალთა ხარ სალოცავი,
თითქოს ჩაივლი მგზავრი ყარიბი,
და ესტუმრები ცეცხლი ცოცხალი.

თეთრი და ლურჯი, ფერი ორთავე,
ტილოზე სხივებს დააყოფინე.
შენ დაამსგავსე ბერძნულ ორნამენტს
მათი თავები პირველყოფილი.

მერე სილურჯეს ეძებ სხეულით,
მერე სიმაღლეს მიეტანები,
ჩიტი როკი ხარ ფრთებით გრძნეულით
და ნუშისებრი, სათნო თვალებით.

ხარ მბრძანებელი ასე კეთილი,
მთიდან ჩანჩქერის ელვად ენთები,
განა ღმერთია შენებრ კეთილი,
დაგიჩოქებენ ყველა ღმერთები.

შენ აგირჩიეთ პირველ უფალად,
რადგან ახალი სხივი დაგვერწა,
რადგან ჭაობებს, ასე უთვალავს,
შენი ღიმილის შუქი დაეცა.

შენ მოგვაშორე ნესტი და სუსხი
და მწვანე მინდვრებს მიეც ბარაქა,
შენ მოგვაშორე შიმშილის რისხვა
და სიხარული დადგი ქალაქად.

მას შემდეგ ისევ ელვად ენთები,
მას შემდეგ უკვე არი რა ხანი,
ჩვენ დაგვავიწყდა ყველა ღმერთები
და ასე კეთილს გეცით თაყვანი.

შენ, ჩაგაბარე მე ჩემი მკვდრები,
შენს უკვდავ ალზე როგორ იწვოდნენ,
ეს მათ ეგონათ ერთხელ ანთება
და მაშინ კიდევ ჯერ არ იცოდნენ.

ახლა კი სძინავთ, მთვარემ მონახა
გაუვალ ზღვაში თითქოს ეულნი,

სალამანდრების ცისფერ ოჯახად
თოვლის ღრუბლებში გადაქცეულნი.

ნეტავ რანაირ სიზმრებს ხედავენ,
ანდა ბინდისას სად ეჩქარებათ,
იქნებ თქმა სურთ და ვეღარ ბედავენ,
იქნებ მოედვნენ ღრუბლებს ქარებად.

შეყვარებიათ უხმო ალერსი
და სუროსავით იწვდიან ხელებს,
ფერმკრთალ დასავლეთს როცა არ ესმის,
როცა შენ უქრობ სანთლებს და ფერებს.

ასე გავიდა წელი ორმოცი,
წელი სხივების კონით დამწველი,
და მე არ ვიცი, შენ თუ დამლოცე,
და შენს ხსოვნაში მეც თუ ჩამწერე.

მომხედე, მიცან, ვით პირამიდა,
შენი შვილობა რადგან მინდოდა,
ვით მანგო, ცისფერ ცად რომ ავიდა,
ვით ყვავილებით სავსე მინდორი.

ვით ჯადოქარი, ანდა იუკა,[1]
ანდა ვით დოქი მზიან პერუში,
როგორც ცა ყვავილს ლურჯ ნამს მიუტანს
და გაზაფხულზე ჰყვავის ბერნუში,

[1] მცენარეა.

როგორც რიჟრაჟზე გვტოვებს ფლამინგო
და ყოველივე უცებ ცოცხლდება, —
მეც შენით ვსუნთქავ და ეს გამიგე
და შენი სული ნუ გაოცდება,

ო, გამომძერწე, ვით მათ ძერწავდი,
შენმა უკვდავმა შუქმა დამლოცოს,
სული, შთამბერე, სუნთქვა მეწადოს,
გაოცებულმა რომ გავაოცო.

მე დავდიოდი უცხო მიწაზე
და უცხო ხილი თვალს მიბრმავებდა,
იქაურ თასში იყო სიმწარე
და უცხო შუქი შავებში მხვევდა.

იქ თაფლი წყალს ჰგავს, ღვინო დაღლილა,
გაუცხოვებას ჩუმად ვნანობდი,
მკვდარი ვარსკვლავი იდგა მაღლითა
და საგალობელს უცხოს ვგალობდი.

ვიმეორებდი სიკვდილის ლოცვებს,
და მკვდარ დრაკონებს ძილში ვხედავდი,
თითქოს სიბნელე სახსოვრად მომცეს
და გაცოცხლებას ვეღარ ვბედავდი.

მაგრამ, დავბრუნდი. ო, დამიბრუნე,
ჩემი სხეული პირველყოფილი,

მიიღე ლოცვა არა უბრალო,
და ჩუმი ტანჯვა შენ მამყოფინე.

ვეტრფი შენს ძალუმ, წითელ შადრევანს,
იმ შადრევანში ისევ გამბანე,
სუნთქვა ნელდება, სუნთქვა ჩქარდება
და გავთეთრდები და გავშავდები
იმ შადრევანის ცხელი შანთებით.

ამოსწვი ჩემში ფარული შიში,
შემაშრე ცრემლი, მომეც ოცნება.
დასწვი ბაგენი, ჩუმი სიმღერა,
გამოსწვი სუნთქვაც, სული დაწმინდე,
ო, მე ჭრილობა დამაქვს იმხელა,
შენ დაგიძახებ მკურნალს აწინდელს.

ჭრილობა სულის და სხეულისა,
შენ მიიბარე და მომარჩინე,
შენ გამიხადე თვალნი უნისლო,
რადგან სინათლე ისევ ვარჩიე.

ოფლი შემაშრე და ისევ დამწვი,
დამწვი, დამდაგე და გამახარე,
და უვალ გზებზე მექნება აწი
სისხლი ახალი, ცრემლი ახალი.

ნუმც მომეშალოს მამულის მადლი,
შენი ღიმილი ზეცად მეხუროს,

გადამავიწყე წარსულის დარდი
და მომანატრე ხმები ფერხულის.

შენში სინაზე არის ქალური,
და შენში რისხვა არის მეხური,
ჩემო სიწმინდევ იავნანურო,
შენს სადიდებელს მოსთქვამს ფერხული.

მზეო უკვდავო, სადაც გაიარ,
შეკრთება ნისლი და იცრიცება,
შენი კეჩუა, შენი მაია,
ერთადერთ ფიცით შენ გეფიცებით:

-- მარადიულო, მკვდრეთით განმდგარნი,
შევუერთდებით ჟამს სამუდამოს,
ჩამოცვენილი ოქროს ფოთლებად,
წითელ საწმისის ბეწვის მაგვარნი.

და, შენ, ნათელო, დაგიბრუნდებით.
შენს თეთრ სასახლეს, სხივით მოგებულს.
დაგიბრუნდებით, სულაბორგებით,
როგორც ამბობდნენ ინკთა მოგვები.

მოვალთ უეცრად და ანთებულნი,
ო, როგორც შიში სულს აგონდება
და, ჩუმი სტვენით შეშფოთებულნი,
ბუჩქებს ეძებენ ანაკონდები.

ნ. გაბრიელა მისტრალი

მოვალთ, როდესაც შუქი იღვრება,
შვილი დედასთან როგორც მისულა,
როგორც რიყრაჟი ზღვაზე იღლება
და შორს ყვითელი აფრა მიცურავს.

ვით შენს ვენახში ოქროს მარცვალი,
მოვალთ მიწაზე სხივთა გუნდებად,
მოვალთ სხვაგვარი გულის ფანცქალით
და უკვდავება დაგვიბრუნდება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბაბრიელა მისტრალი — (წინასიტყვაობა ლია პავლავაძისა) 3
ვერხული ეკვადორის სეიბას ირგვლივ 9
ამება 12
ბულბული 14
მადრიგალი 16
ძლიერი ქალი 18
ღვთიური მახსოვრობა 19
კარსკვლავის ბალადა 21
ბედრება ბუდეზე 23
ბაპოვნი 25
ბავშვი მარტო დარჩა 26
[illegible] ობელი წრე 27
[illegible]ეტე გულში 29
[illegible]ობა 30
[illegible]ბარება 31
ბალადა 34
ასე სურს ღმერთს 36
წვერვალი 41
ევდიანი ღმერთი 43
[illegible]ემა შვილზე 47
[illegible]ვლილის სონეტები 53
[illegible]და ვიხილო იკი ისევ 56
[illegible]ი ტროპიკების მზეს 57